



იმისთანა წმინდა საცემში, ბოგბილ ბუქ-  
უბი სიფყვას, ცუდილებით და ჭიბობით ბუბ-  
თის გაფანა ყულა უჯარბისთბაგე უსამაგლსია.



გამოდის 1918 წლის  
25 ივლისიდან

# რესპუბლიკა

შაბათი-კვირა, 20 აპრილი. 2019 წ. №79-80 (8745-8746)

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru

ფასი 60 თეთრი

## აბუჩად აბდებული ქართველები!!!

ბანტუსტანი გაუქმდა,სამაბიეროდ,  
არის... „ღამოუკიდებელი“ აფხაზეთი  
რამდენი რამ გტკივა, აფხაზეთო!..

### მოსახლეობისგან განსხვავებით, ③ სახელმწიფო უწყებები სანავს 50 თეთრით იაფად ყიდულობენ!

### ღატაკ საქართველოში 323 მილიონერი გვყოლია!

საქართველოში იმ პირთა რაოდენობა გაიზარდა, რომელთა წლიური შემოსავალი მილიონ ლარს აღემატება. 2018 წელს, წინა წელთან შედარებით, მილიონზე მეტი წლიური ანაზღაურება 57 ადამიანით მეტს აღმოაჩნდა...

შემოსავლების სამსახურის ოფიციალური მონაცემებით, 1 მილიონ ლარზე მეტი შემოსავალი 2018 წელს 323-მა ფიზიკურმა პირმა მიიღო. რიცხვში ასახულია მხოლოდ ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი. ვის აქვს მილიონზე მეტი შემოსავალი, მათი ვინაობა საჯარო არ არის. გამონაკლისია ლონდონის ბირჟაზე განთავსებული კომპანიების ხელმძღვანელების მონაცემები.

### სამუშაო ჯგუფი მედიკოს სიკულოლოგის ენასა და ეკლესიის მიმართ კრიტიკულ განსხილვებს ③ შეინიშნავს

### თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალი კიდევ 3 წელი ④ პერ დასრულდება!

### რუსეთში შესაძლოა, პუტინის ქურდად მოსენიება აიკრძალოს!

### ღავით ბაბრატიონის საბანგებო განსხილება

საქართველოს სამეფო სახელი ღავით ბაბრატიონის განსხილებას აპროცელებს, რომელიც ნათქვამია:

„მინდა, სრული ნდობა გამოვუცხადო პოლიციას, გამოძიებას და ქართულ მართლმსაჯულებას, ნათელი მოვფინო იმ ადამიანების სიცრუის ქარხანას, რომელთაც მხოლოდ საკუთარი ეკონომიკური და პიარ ინტერესები ამოძრავებდათ ამ ამბავში და ბაგრატიონების დინასტიაზე, ბავშვებზე და საკუთარ თავებზეც კი არ უფიქრიათ. მათ წარმოშვეს ძალიან რთული და

დიდი ბზარი ჩვენს ურთიერთობაში. მინდა, ვთხოვო მედიას, რომ წინასწარ გადაამოწმონ ყველა ის ინფორმაცია, რასაც ისინი ავრცელებენ. მომდევნო დღეებში ჩავწერ ინტერვიუს ჟურნალისტებთან, რომელთაც გამოთქვებს ჩემთან ინტერვიუს ჩანერის სურვილი. ერთხელ და სამუდამოდ მივმართავ უგუნურ ადამიანებს და ვაცხადებ, რომ არ ვაპირებ სხვა ქვეყანაში ცხოვრებას. ვიცხოვრებ ჩემს სამშობლოში, საქართველოში, ქვეყანაში, რომელიც მე ასე ძალიან მიყვარს, სადაც მამაჩემი არის დაკრძალული და ჩემი ვაჟი იზრდება, სადაც არის ჩემი ოჯახი და მეგობრები. არ ვაპირებ ბაგრატიონთა დინასტია და საქართველოს სამეფო სახლის სახელი დაფუტოვო გადაშენების პირას მყოფ უმცროს შტოს“.

### გივი სააკაშვილი დღემოდ...ული გვარამიას თუთიყუში გახდა

საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სოციალურ ქსელში წერს, რომ სვამის, ანუ ივანიშვილის გეგმა არის საქართველოში ქართველების გარეშე:

ჩავერთე და ერთი საათი ვესაუბრე ჩვენს ულამაზეს ქალბატონებს იტალიის ქალაქ ბაროში. სვამის გეგმა არის „საქართველო ქართველების გარეშე“. ჩვენი ამოცანაა „საქართველო ქართველებით და ეი ივანიშვილის გარეშე“. ქვეყნის მტერი მთავრობა, რომელიც მთელ ძალას ახმარს უცხოეთში თანამოქალაქების გაყრას და უცხოეთის მთავრობებს ელაპარაკება, რომ როგორმე მათ ქართველები დაასაქმონ, რათა აღარ მოუხდეთ საქართველოსკენ გახედვა. როგორც კი ივანიშვილს მოვაშორებთ, მაშინვე შევთავაზებთ ქართველებს დაბრუნების ღირსეულ პირობებს. გაიხსენეთ – ჩემი პრეზიდენტობის დროს სტატისტიკურად მეტი ქართველი ბრუნდებოდა, ვიდრე მიდიოდა, ხოლო ივანიშვილის დროს ერთმა მილიონმა ადამიანმა მიატოვა მშობლიური კერა.“





### მამუკა ბახტაძე: ეკონომიკურ პოლიტიკაში სწორი პრიორიტეტები გვაქვს

„Standard&Poor's“-ის მიერ საქართველოსთვის რეიტინგის გაუმჯობესება კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ ჩვენს ეკონომიკურ პოლიტიკაში სწორი პრიორიტეტები გვაქვს, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ გუშინ მთავრობის სხდომის დასრულების წინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, ეს განსაკუთრებით დასაფასებელია იმის ფონზე, როდესაც საერთაშორისო ინსტიტუტები რეგიონში ეკონომიკურ პრობლემებზე საუბრობენ და საქართველო ამ კონტექსტში ერთადერთ პოზიტიურ მაგალითად განიხილება.

„ჩემთვის პირადად არც ერთ სარეიტინგო მიმართულებაში დაინაწიერებას არაფერი მნიშვნელობა არ ექნება, თუ ეს კონკრეტულ შედეგს არ მოიტანს. მჯერა ეს ნამდვილად მოიტანს კონკრეტულ შედეგებს, რადგან ეს ნიშნავს მეტ ინვესტიციას, მეტ სამუშაო ადგილებს და უფრო იაფ ფულს და საკრედიტო რესურსს“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

მთავრობის მეთაურის თქმით, ბოლო ერთი თვის განმავლობაში ეს მეორე შემთხვევაა, როდესაც საქართველოს საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოები დადებით შეფასებას აძლევენ. საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია „Standard&Poor's“-მა (S&P) საქართველოს სუვერენული რეიტინგის პერსპექტივა სტაბილურიდან პოზიტიურისკენ გააუმჯობესა, ხოლო რეიტინგი კვლავ „BBC“-ის დონეზე დაადასტურა.

### პრემიერის ქება გვნამს, მებრამ... ბოლო გვაკვირვებს!

საბარტეველს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ გუშინ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრად ნათია თურნავა წარადგინა.

როგორც პრემიერმა განაცხადა, ნათია თურნავა არის მაღალი დონის პროფესიონალი, სერიოზული გამოცდილებით და მას აქვს სწორი აღქმა იმ სოციალური რეალობის, რომელიც დღეს ქვეყანაშია.

რაც შეეხება გორგი ქობულას, მთავრობის მეთაურის თქმით, ის არის ძალიან ძლიერი ეკონომისტი, პროფესიონალი ანალიტიკოსი და მან შეძლო განვითარების სტრატეგიების შექმნა.

„როგორც მოგეხსენებათ, გუშინ მივიღე საკადრო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პოსტზე გიორგი ქობულას მაგივრად დაინიშნა ნათია თურნავა. გოგა ქობულას არის ძალიან ძლიერი ეკონომისტი, პროფესიონალი ანალიტიკოსი. მან შეძლო და ყველა იმ ძირითად მიმართულებაში, რომელსაც ეკონომიკის სამინისტრო აერთიანებს, შექმნა განვითარების სტრატეგიები, რომელიც მომავალში გამოგვაადგება.“

ნათიასთან მე მაკავშირებს ერთობლივი მუშაობის მინიმუმ ათწლიანი გამოცდილება როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორში. ნათია არის ძალიან მაღალი დონის პროფესიონალი, სერიოზული გამოცდილებით. ჩვენ ახლა გვჭირდება სწრაფი გადაწყვეტილებები, გადაწყვეტილებების მიღება ოპერატიულ რეჟიმში, რომელიც ემსახურება ჩვენი საზოგადოების, მენარმეების ინტერესებს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ნათია წარმატებით გაართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას. ჩემი შეხედულებით, ნათიას აქვს სწორი აღქმა იმ სოციალური რეალობის, რომელიც არის დღეს ქვეყანაში. ის დავალებები და ვადები, რომელიც შესასრულებელი ექნება მას თავის გუნდთან ერთად ეკონომიკის სამინისტროში, არის ამბიციური და მკაცრი, თუმცა ნათიას აქვს ჩვენი სრული მხარდაჭერა და ის წარმატებით გაართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

### საგანმანათლებლო პროგრამა ახალგაზრდებისთვის

საბარტეველს მთავრობამ დაიწყო საგანმანათლებლო პროგრამა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდებისთვის. საკითხი გუშინ მთავრობის სხდომაზე განიხილეს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის მამუკა ბახტაძის განცხადებით, მიმდინარე წელს ამ პროგრამით ისარგებლებს 142 აბიტურიენტი ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებიდან. მთავრობის მეთაურის განმარტებით, ისინი მომზადდებიან გაივლიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში.

„ჩვენ ავამოქმედეთ საბილოტე პროგრამა, რომელიც დარწმუნებული ვარ, ძალიან წარმატებული იქნება. მინდა, ხაზი გავუსვა, რომ ახალგაზრდების განათლებას სრულად დაფინანსებთ ჩვენ, მათ შორის საცხოვრებელ კომპონენტსაც. მსურს, ახალგაზრდებს და მათ მასწავლებლებს გადაუხადო დიდი მადლობა. თითოეული მასწავლებელი, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ჩვენს მომავალ თაობას აძლევს განათლებას, არის ნამდვილი გმირი“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

### ნარჩინებული მოსწავლეები მთავრობის სლოგანზე

მოსწავლეებს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის შენობის დათვალიერების, ნარჩინებულ მოსწავლეებს კი მთავრობის სხდომაზე დასწრების შესაძლებლობა ექნებათ. სიახლე დღეიდან დაიწყო, — ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა გუშინ მთავრობის სხდომის დასრულებამდე განაცხადა.

მთავრობის სხდომაზე გუშინვე კომაროვის სკოლის ინფორმაციის ოლიმპიადის გამარჯვებული 5 მოსწავლე დაესწრო.

„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობა, მისი ნებისმიერი შენობა, მათ შორის ადმინისტრაცია, იყოს ღია ყველასთვის, განსაკუთრებით ჩვენი მომავალი თაობისთვის. შესაბამისად, ვინც მსპეციალურ ინიციატივას, რომელიც მოსწავლეებს აქ მოსვლის საშუალებას მისცემს“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

### ორი სასახლე და პრემიერის განმარტება: „ეს შენობა აშენდა მოქალაქეების ფულით...“

პრემიერ-მინისტრმა პრეზიდენტის ორი სასახლისა და ორმაგი ხარჯის შესახებ განმარტება მთავრობის სხდომის დასრულებამდე გამართულ ბრიფინგზე გააკეთა

„ამ შენობას ექნება რამდენიმე ფუნქცია, მათ შორის მაღალი რანგის სტუმრების მასპინძლობის, ასევე სამუშეო სივრცის ფუნქცია, სადაც მისვლა საქართველოს ყველა მოქალაქეს და ტურისტს შეეძლება და შესაძლებლობა მიეცემა, ნახოს ის ეროვნული საგანძური, რომლითაც ასე ვამაყობთ. ამ ორ შენობას სხვადასხვა ფუნქცია ექნება. ეს შენობა აშენდა საქართველოს მოქალაქეების ფულით და მას საზოგადოებრივი ფუნქცია უნდა ჰქონდეს“, — განაცხადა ავლაბრის რეზიდენციასთან დაკავშირებით მამუკა ბახტაძემ. სახელმწიფო დაცვის სამსახურის მონაცემებით, 4 თვეში, ავლაბრის სასახლესა და ათონელზე მდებარე რეზიდენციაზე ჯამურად, 3 478 795 ლარი დაიხარჯა.

### ოპოზიციის განცხადება ანგარიშს უსაფუძვლოა!

თბილისის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე რევაზ სოხაძე თაბორის მთის ტერიტორიაზე პარლამენტარ ბექა ოდიშარას კუთვნილი მიწის ნაკვეთის ადგილმონაცვლეობის საკითხზე ოპოზიციის განცხადებებს უსაფუძვლოს უწოდებს. მისი განცხადებით, ამ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოების და მერიის მოსაზრებაა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე მშენებლობა არ უნდა განხორციელდეს. შესაბამისად, მერიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ განხორციელდეს მიწის ადგილმონაცვლეობა.

რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ ოპოზიცია ციფრებით აპელირებს, რაც უსაფუძვლოა.

„აქ უბრალო მათემატიკაა, რომ ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მიწა გაცილებით ძვირი ღირს, ვიდრე გარეუბნებში და ოპოზიციის განცხადებები ამასთან დაკავშირებით, უსაფუძვლოა. თაბორის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწის მონაცვლეობა ხორციელდება მუხიანში მიწის ნაკვეთზე, რაც თავისთავად იწვევს ფასთა სხვაობას. ამ საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს და მერიის შევითხვები არ უნდა დაესვას, რადგან ექსპერტის ოფიციალური შეფასების შესაბამისად ვხელმძღვანელობთ,“ — განაცხადა რევაზ სოხაძემ.

## ამერიკიდან რესპუბლიკელი მარკუინ მულინი გვიტყვს!

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს საქართველოსთვის ეკონომიკური სანქციების დაწესების თაობაზე კანონპროექტი წარედგინა. წარმომადგენელთა პალატის რესპუბლიკელი წევრის მარკუინ მულინის კანონპროექტს „საქართველოში ბიზნესის კეთების სამართლიანი წესებისა და სანქციების აქტი ჰქვია“. დოკუმენტის მიხედვით, თუ აშშ-ის პრეზიდენტი დაადგენს, რომ საქართველოში ამერიკული ბიზნესის წინააღმდეგ სახელმწიფოს მხრიდან უკანონო მოქმედებები და ზენოლა იქნება გამოვლენილი, ამ შემთხვევაში პრეზიდენტს ენიჭება უფლება მოსილეს საქართველოს მთავრობისა და ცალკეული ფიზიკური პირების მიმართ ეკონომიკური სანქციები დააწესოს.

კანონპროექტის მიხედვით: „თუ საქართველოს მთავრობის მხრიდან საქართველოში მოღვაწე ამერიკელ მოქალაქეებთან თუ ბიზნეს-კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევა დადასტურდება, მთავრობასა და ამ დარღვევებთან დაკავშირებულ მოქმედ თუ ყოფილ ჩინოსნებს სანქციები დაუწესდეთ“.

კანონპროექტი საქართველოსთვის შემდეგი სახის სანქციებს ითვალისწინებს: აშშ-ის მთავრობის არც ერთმა სააგენტომ (მათ შორის „აშშ-ის ექსპორტ-იმპორტის ბანკმა“ და კერძო უცხოური ინვესტიციების კორპორაცია OPEC-მ) არ გასცეს საქართველოს მთავრობაზე სესხი, საკრედიტო გარანტია, დაზღვევა, დაფინანსება ან სხვა მსგავსი ფინანსური დახმარება.



ნანსური დახმარება. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ პუმანიტარული საქონლის, სასოფლო-სამეურნეო და სამედიცინო დანიშნულების პროდუქტების გაცემა; აშშ-ის ვაჭრობისა და განვითარების დეპარტამენტის მიერ.

თარების სააგენტოს ფინანსური დახმარება საქართველოსთვის ხელმისაწვდომი აღარ იყოს; შესაბამის დარღვევებთან კავშირში მხილებული მოქმედი თუ ყოფილი თანამდებობის პირების მიმართ გამოყენებულ იქნას ზომები მათთვის აშშ-ში ჩასვლის ასაკრძალად და შეერთებულ შტატებში მათი ფულადი ანგარიშები გაიყინოს.

სანქციების შეჩერების, ისევე როგორც ამოქმედების უფლება კანონის მიხედვით პრეზიდენტს ენიჭება.

მარკუინ მულინის კანონპროექტში არ არის დაკონკრეტებული თუ რომელ ამერიკელ ინვესტორსა თუ კომპანიას შეიძლება ეხებოდეს აღნიშნული ინიციატივა. ის არც დოკუმენტთან არსებულ განმარტებით ბარათშია იდენტიფიცირებული.




უკვე კვირაზე მეტია, ბირჟებზე ნავთობის ფასი იმატებს, ბოლო ერთი კვირის მანძილზე ნავთობის ფასი, საშუალოდ 3 დოლარით გაიზარდა. ბირჟებზე ნავთობის გაძვირება ორ მთავარ ფაქტორს უკავშირდება. პირველი, ეს არის ჩინეთ-ამერიკის მოსალოდნელი სავაჭრო ომი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ნავთობის ფასზე, ხოლო მეორე და მთავარი ფაქტორი არის „ოპეკი“-ის შეთანხმება, რომლის მიხედვითაც მომავლებელი ქვეყნები მოპოვების შემცირებაზე შეთანხმდნენ, სწორედ ამ ფაქტორების ერთობლიობამ მოახდინა მნიშვნელოვანი გავლენა ნავთობის ფასზე.

გლობალური ტენდენციების პარალელურად, რა მდგომარეობაა ქართულ სანავთობის ბაზარზე და უნდა ველოდოთ თუ არა საცალო ქსელში ფასების მატებას, ამ თემებზე „აფხაზ“ ვიცე-პრეზიდენტს, ეკონომისტ პაპტა ბაირახტარს ვესაუბრეთ.

– ბოლო ერთი კვირაა, მსოფლიოში ნავთობის ფასები იმატებს, რა ფაქტორები მოქმედებს ნავთობის ფასზე და რამდენად არის მოსალოდნელი, რომ უახლოეს მომავალში ადგილობრივ ქსელშიც გაიზარდოს ფასები?  
– პირველ რიგში, მე გამოვყოფდი აშშ-ის მიერ ირანის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს, რომელიც სულ უფრო იკრებს ძალებს. მეორე ეს არის წინა თვეში, ასევე აშშ-ში მნიშვნელოვნად შემცირებული მარაგები, არ შეიძლება, არ აღვნიშნოთ, ვენესუელაში არსებული არასტაბილური მდგომარეობის ფონზე, თითქმის ყოველთვიურად იკლებს ნავთობის მოპოვება. ცხადია, ყველა ეს ფაქტორი მოქმედებს გლობალურ ბაზარზე და ბირჟებზეც ადვილად იგრძნობა ფასის ფიქსირდება. რაც შეეხება ადგილობრივ ბაზარს, ჩვენთან ფასების მატება უახლოეს მომავალში მოსალოდნელი არ არის, ყოველ შემთხვევაში, ობიექტური და ეკონომიკური ფაქტორებიდან გამომდინარე.

– კონკრეტულად, რა ფაქტორებს გულისხმობთ, რატომ არ უნდა ველოდოთ ფასების მატებას ადგილობრივ ბაზარზე, მაშინ, როდესაც მსოფლიოში ფასები იმატებს?  
– პირველ რიგში, გასათვალისწინებელია გადაცემის პერიოდი, ანუ დრო, რომელიც სჭირდება მსოფლიო ბაზარს იმისთვის, რათა ზეგავლენა მოახდინოს ადგილობრივ ბაზარზე. მეორე ფაქტორი გახლავთ გაცვლითი კურსი. მოგეხსენებათ, რომ ნავთობის ფასთან ერთად სანავთობის ფასის ერთ-ერთი მთავარი დამდგენელი გახლავთ გაცვლითი კურსი, რომელიც ბოლო რამდენიმე თვეა, საკმაოდ სტაბილურია, თუ არ ჩავთვლით მცირე რხევებს, რომელიც ჩვენი გაცვლითი კურსის რეჟიმისთვის სავსე-

**„საზოგადოება კალიან მალე იხილავს იმ არაჯანსაღ რეალობას და დარღვევებს, როგორც წლებია, არსებობს სანავთობის ბაზარზე“.**



# მოსახლეობისგან განსხვავებით, სახელმწიფო უწყებები სანავთობის ბაზარზე იაფად ყიდულობენ!



**მანები ისედაც ძვირად ყიდიან სანავთობის ბაზარზე?**

დიახ, რომ არა ეს „ბუფერი“ და ხელოვნურად დაჭერილი ფასი, დღეს სანავთობის ბაზარზე უფრო იაფი ელირებოდა საცალო ქსელში. ბოლო 3 თვეში ადგილობრივ ბაზარზე საშუალოდ 10-12 თეთრით შემცირდა ფასი. მოდით, მიმოვიხილოთ უკანასკნელი ტენდენციები, როდესაც ჩვენთან სანავთობის ფასმა პიკს მიაღწია, ანუ გასული წლის მიწურულს, მსოფლიოში WTI ნავთობის ფასი საშუალოდ 73\$ შეადგენდა, როდესაც ჩვენს ბაზარზე უკანასკნელად დაკორექტირდა სანავთობის ფასები შემცირების მიმართულებით, მაშინ იმავე ტიპის ნავთობის საშუალო ფასი 58\$ შეადგენდა, ანუ ფასები ნავთობზე დაეცა 20.5% -ით, ხოლო ჩვენთან ამავე პერიოდში ფასები შემცირდა მხოლოდ 5%-ით. დაკვირვებული თვალს აქვე შეინშნავს, რომ ეს ნედლი ნავთობი შედარებაა უკვე მზა სანავთობთან და ასეთ შემთხვევაში, მცირედი განსხვავება დასაშვებია, მაგრამ რა ვუყოთ იმ გარემოებას, რომ 20%-იანი სხვაობა მცირედი არ არის?! თუმცა ეს არაფერი, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, სიტუაცია

ბით ბუნებრივია. თავად მაკროეკონომიკური გარემოც საკმაოდ სტაბილურია, არ ველოდებით რაიმე ტიპის შოკებს, რომელიც ამ გარემოს გააუარესებს ან გაცვლით კურსს დაარტყამს. მთავარი ფაქტორი კი, თუ რატომ არ უნდა ველოდოთ ობიექტური მიზეზებით ფასების მატებას ადგილობრივ ბაზარზე, არის ის, რომ თავად ნავთობი-პორტიორებს აქვთ გაცვლითი უფრო დიდი „ბუფერი“ დაჭერილი, რომელსაც 3-დოლარიანი ნედლი ნავთობის გაძვირება ვერაფერს დააკლებს.  
– რა „ბუფერს“ გულისხმობთ, ანუ კომ-

კიდევ უფრო რთულადაა, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს, თუ გასული წლის ნოემბრის გაცვლით კურსს ვნახავთ, ანუ იმ პერიოდს, რომელზეც ზემოთ ვისაუბრებთ, დავინახავთ, რომ ეროვნული ვალუტა საკმაოდ არასტაბილურობით გამოირჩეოდა და ერთი დოლარის ღირებულება 2.75 ლარსაც კი გადასცდა, რასაც ვერ ვიტყვით ბოლო თვეების მონაცემებზე. ბოლო რამდენიმე თვეა, ეროვნული ვალუტა სტაბილურობით ხასიათდება. აი, სწორედ ამას ვგულისხმობ, როდესაც ვამბობ, რომ კომპანიებს აქვთ იმის რესურსი, რათა ფასები არ გაზარდონ საცალო ქსელში.

მაგრამ, მოდით, ანალიტიკა ცოტა ხნით გვერდით გადავდოთ და ფაქტებს შევხედოთ, მაგალითად, ზემოთ ხსენებულ გათვლებს ძალიან კარგად ასახავს კომპანიების საფასო პოლიტიკა სახელმწიფო ტენდერებში. მაგალითად, მარტის თვის მონაცემებით, თუ კომპანია „რომპეტროლში“ ჩვენ, რიგითი მოქალაქეები, პრემიუმის ტიპის სანავთობს, 2.42 ლარად ვყიდულობთ, იმავე ტიპის სანავთობს სახელმწიფო მხრიდან 1.93 ლარს იხდის, ანუ 49 თეთრით უფრო ნაკლებს, ვიდრე ხალხი. სკეპტიკოსები აქ აუტი-ლებლად მოიშველიებენ იმ „რკინის“ არგუმენტს, რომ საბითუმო შესყიდვებისას კომპანიას შეუძლია უფრო დაბალი ფასი შესთავაზოს კლიენტს პროდუქტი, მაგრამ კომპანია ნაგებზე სანავთობს ვერცერთ შემთხვევაში ვერ გაყიდის. გამოდის რაა?! კომპანიები ერთი ლიტრი სანავთობიდან საშუალოდ 50 თეთრს იგებენ.

– თქვენი ორგანიზაცია უკვე რამდენიმე თვეა ამზადებს სანავთობის ბაზრის კვლევას, როგორც ცოტა ხნის წინათ დაანონსეთ, მალე იხილავს საზოგადოება ამ კვლევას. თუ შეგიძლიათ უფრო კონკრეტულად გვითხროთ, როდის გამოქვეყნდება კვლევა და რას ვნახავთ დოკუმენტში?

– მოგეხსენებათ, სანავთობის ბაზარი თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, არის ერთ-ერთი ყველაზე რთული ბაზარი, შესაბამისად, სამუშაო საკმაოდ შრომატევადია, ამ ბაზრის შესწავლა სახელმწიფო სტრუქტურებისა და სიპე-ბისთვისაც კი რთულია, რომელთაც ჩვენზე გაცილებით დიდი რესურსი გააჩნიათ, თუმცა კვლევა უკვე დასკვნით ფაზაშია და ვვარაუდობ, რომ შემდეგ კვირას უკვე უნდა მოხდეს მისი პრეზენტაცია. რაც შეეხება მის შინაარსს, კვლევაში საზოგადოება იხილავს იმ რეალობას, რომელიც სანავთობის ბაზარზე ჩამოყალიბებული, ნახავს ბაზრის მიერ კონიუნქტურას, წლების განმავლობაში მის ფორმირების პროცესსა და, რაც მთავარია, დღეს არსებულ საკმაოდ არაჯანსაღ რეალობას.

BFM

# ქალბატონი მინისტრის ღიმილია პანკისალი გააღიზიანა!

სამხარეთში მთავრობის წევრები პანკისის ხეობის მოსახლეობას შეხვდნენ. მედიისთვის დახურული შეხვედრა დუხის კულტურის სახლში სამ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. ხეობაში მცხოვრებ ახალგაზრდებს, ქალთა და უზუცესთა საბჭოების წარმომადგენლებს, ხეობაში მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებზე ინფორმაცია ვიცე-პრეზიდენტმა, რეგიონული განვითარების, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრებმა – მაია ცქიტივილია და ლევან დავითაშვილია მიანიჭეს.

როგორც შეხვედრის შემდეგ ახალგაზრდების ნაწილმა განაცხადა, რომლებიც შეხვედრას ესწრებოდნენ, კითხვები ძირითადად ჰესების მშენებლობის საკითხს შეეხებოდა. როგორც ცნობილია, ამ საკითხს

ადგილობრივი მოსახლეობა მტკივნეულად აღიქვამს და გასული წლიდან აპროტესტებს დაგეგმილ პროექტებს. როგორც ახალგაზრდებმა განაცხადეს, ისინი შეხვედრის შესახებ ინფორმირებული არ იყვნენ და დისკუსიას ძირითადად საჯარო მოხელეები ესწრებოდნენ.  
„ჰესების საჭიროებაზეა სა-

უბარი და როდესაც მე ეს საკითხი დავაყენე, შეურაცხყოფილი დავრჩი დამოკიდებულე-ბით: როცა კითხვას ვსვამდი, ქალბატონ მინისტრს ეცინებოდა. ამის შემდეგ შეხვედრა დაეტოვებინა და მოვიკიდებულე-ბა იყო. შემდეგ განვითარებულა აზრი, რომ ზოგადად ჰესებთან დაკავშირებით წინააღმდეგობა გარე ქვეყნებიდანაა მართული. ეს ძალიან არასერიოზულია,“ – ყველა სამოქალაქო აქტივისტი, ბლოგერი სულხან ბორძიკაშვილი.  
შეხვედრის დასრულების შემდეგ ჰესებთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა მაია ცქიტივილიამაც. მისი თქმით, ეს საკმაოდ სენსიტიური და საინტერესო საკითხია და შეხვედრაზე იყო აზრთა გაცვლა-გამოცვლის შესაძლებლობა.



# სამუშაო ჯგუფი მედიის სიძულვილის ენასა და ეკლესიის მიმართ კრიტიკულ განხილვებს შეისწავლის

მამა ანდრია ჯალმიაძის განცხადებით, უკვე შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც მედიის სიძულვილის ენასა და ეკლესიის მიმართ კრიტიკულ განხილვებს შეისწავლის.



„საპატრიარქოში კომისია არ შექმნილა. ჩვენ სამუშაო ჯგუფის შექმნას ვგეგმავდით და ეს ჯგუფი შექმნილია. აღნიშნულ ჯგუფში მხოლოდ საპატრიარქო არ შედის. აქ შედიან არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა დაინტერესებული პირები, რომლებიც ამ პრობლემებით არიან დაკავებული.“

„ვაპირებთ, საერთაშორისო გამოცდილებას ანალიზი გავუკეთოთ, იქ როგორ ხდება სატელევიზიო სივრცის დარღვევები ისე, რომ იქიდან ასეთი ოდენობით აგრესია, ძალადობა, უხამსობა არ მოდიოდეს“, – განაცხადა მამა ანდრია ჯალმიაძემ.  
კითხვაზე: მიმართავენ თუ არა პარლამენტს, თუნდაც კანონის დონეზე, მამა ანდრია ჯალმიაძემ უპასუხა, რომ ეს ასე იქნება.  
„თუ ეს ჯგუფი ეფექტურად იმუშავებს, აქამდე მივაღწეოთ“, – აღნიშნა მამა ანდრია ჯალმიაძემ.



# თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალი კიდევ 3 წელი ვერ დასრულდება!

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი მაია ცქიტიშვილი აცხადებს, რომ რუსთავი-თბილისის ავტომაგისტრალის მშენებლობა 2023 წლამდე ეტაპობრივად დასრულდება. ახალი გზის გაყვანა კარგა ხანია, დაიწყო, მაგრამ დასრულებას კიდევ მეტი დაავიანდება, ვიდრე აქამდე ჩანდა. სამშენებლო პროცესს თან ახლავს ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტი, რომლებიც მთავრობას მოთხოვნებს უყენებენ.



„რუსთავი-თბილისის ავტომაგისტრალის ერთი მონაკვეთი არის თბილისიდან წითელ ხიდანამდე და მეორე მონაკვეთი კი ალგეთამდე. ევროპის საინვესტიციო ბანკთან ცალკეულ მონაკვეთებზე თანხების გამოყოფის თაობაზე დაახლოებით ორი თვის წინ მოხდა შეთანხმება. სამუშაოები მიმდინარეობს. მთელი ეს მონაკვეთი ეტაპობრივად 2023 წლამდე დასრულდება. პროექტს კონკრეტულად საავტომობილო გზების დეპარტამენტი ახორციელებს, ხოლო ცალკეულ მონაკვეთს მუნიციპალური განვითარების ფონდი“, – განაცხადა ცქიტიშვილმა.

ადრე ცნობილი იყო, რომ ორ ქალაქს შორის დამაკავშირებელი უმნიშვნელოვანესი მაგისტრალი 2021 წლისთვის მთლიანად უნდა დასრულებულიყო. ახლა კი ვადა კიდევ გადაინაწია. ამის მიზეზი მასშტაბურ სამუშაოებთან ერთად ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტიცაა. ავტობანთან ახლოს მდებარე საცხოვრებელი სახლების მფლობელები კომპენსაციას ან შესაფერის ალტერნატივას ითხოვენ.

კარგა ხანია, ფონიჭალის მოსახლე-

ობის ნაწილი ავტობანის მშენებლობას აპროტესტებს. ისინი აცხადებენ, რომ არ ენაღობიან დასახლებულ ადგილებში მშენებლობით პროცესს, მაგრამ ამბობენ, რომ სახელმწიფომ არ უნდა შეზღუდოს მათი უფლებები. ისინი აცხადებენ, რომ არსებულ სახლებში ცხოვრება მათ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის.

ავტობანის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები დაახლოებით 310 ოჯახი საკუთარი სახლებიდან გასახლებას, მათი ალტერნატიული ფართებით დაკმაყოფილებას ან კომპენსაციას ითხოვს.

მინისტრი მაია ცქიტიშვილი ფონიჭალაში მცხოვრები მოსახლეობის ნაწილის პროტესტს აღნიშნული მაგისტრალის მშენებლობასთან დაკავშირებით ადასტურებს. იგი ამბობს, რომ მათ თბილისი-რუსთავის გზის ერთ მონაკვეთთან აქვთ პრობლემები.

„მოსახლეობის პროტესტი და მოთხოვნები, რომლებიც მათ აქვთ, არ არის სამართლიანი. პირველ რიგში, იმის გათვალისწინებითაც, რომ ბევრი ოჯახი, რომელიც გზის მშენებლობას აპროტესტებს, ახლა უფრო ახლოს ცხოვრობს არსებულ გზასთან, ვიდრე იქნებოდა ახალ გზასთან. მიუხედავად ამისა, მაინც აპროტესტებენ.“

ჩვენ ერთი შესვენორ უკვე გვქონდა მოსახლეობასთან, ვცდილობთ, განვუმარტოთ დეტალები, რომელიც მათ უნდა იცოდნენ. განსახლების პროცესს არ ექვემდებარება ეს გზა, ამიტომ აქაც მოლაპარაკებისა და კომუნიკაციის პროცესში ვცდებით, რომ პრობლემა გადავწყვიტოთ. თბილისი-რუსთავის გზა მთლიანად არის მრავალწლიანი პროექტი, რომელიც გულისხმობს მისი სხვადასხვა მონაკვეთის მშენებლობას და არა მხოლოდ ერთ მონაკვეთს“, – განაცხადა ცქიტიშვილმა.

თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალს, პროექტს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და მუნიციპალური განვითარების ფონდი აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით ახორციელებენ. ავტობანის სიგრძე 17.4 კილომეტრია და სამი მონაკვეთისგან შედგება.

დანიელ ბეჰაური



# 2018 წელს სადაზღვევო კომპანიებმა 542,20 მლნ ლარის „პრემია“ მოიზიდეს

სადაზღვევო სექტორში 2018 წლის განმავლობაში მოზიდულმა სადაზღვევო პრემიამ პირდაპირი დაზღვევის საქმიანობიდან შეადგინა 542.20 მილიონი ლარი, რაც 100.8 მილიონი ლარით მეტია 2017 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

ამავე პერიოდის შედეგებით სადაზღვევო კომპანიების წმინდა მოგება გასულ წელთან შედარებით გაორმაგდა და 42.19 მილიონი ლარი შეადგინა, აქტივები შეადგენს 743.22 მილიონ ლარს, ხოლო კაპიტალი – 221.64 მილიონ ლარს. აღსანიშნავია, რომ 2017 წელს კომპანიების წმინდა მოგება 20.34 მილიონ ლარს შეადგენდა, აქტივები – 580.22 მილიონ ლარს, კაპიტალი კი – 154.25 მილიონ ლარს.

დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, მოზიდული პრემიის მიხედვით უპირობო ლიდერი „ჯიპიაი ჰოლდინგია“, კომპანიამ 2018 წლის განმავლობაში 105,95 მლნ ლარი მოიზიდა, 2017 წლის ანალოგიურ პერიოდში კი ეს მაჩვენებელი 102,74 მლნ ლარი იყო.

რეიტინგში მეორე ადგილზეა „ალდაგი“ 86.38 მლნ ლარით, თუმცა, 2017 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით პორტფელი 3.87 მლნ.ლარით შემცირდა.

მესამე ადგილზეა „იმედი L“ – 63.76 მლნ. ლარით (ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 12.05 მლნ ლარია).

მეოთხე ადგილზეა „თიბისი“ – 61.72 მილიონი ლარით, რომელიც 29,96 მილიონი ლარით მეტია 2017 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

მეხუთე ადგილზეა „უნისონი“, რომელმაც 2018 წელს 43.38 მლნ ლარის

პრემია მოიზიდა, 2017 წელს კი – 30.84 მლნ ლარის.

მეექვსე ადგილზეა „არდი“, 2018 წელს კომპანიამ 41,92 მლნ ლარის პრემია მოიზიდა, 2017 წლის ანალოგიურ პერიოდში კი ეს თანხა 34,49 მლნ ლარს შეადგენდა.

მეშვიდე ადგილზეა „ირაო“, რომელმაც 2018 წელს 29.41 მლნ ლარის პრემია მოიზიდა, 2017 წელს ეს მაჩვენებელი 24.22 მლნ ლარი იყო.

მერვე ადგილზეა „ალფა“, რომელმაც 2018 წელს 20.37 მლნ ლარის პრემია მოიზიდა, 2017 წელს კი – 10.13 მლნ ლარის.

შემდეგ მოდის სადაზღვევო კომპანია „პსპ“, რომელმაც 2018 წელს 20.18 მლნ ლარის პრემია მოიზიდა, 2017 წელს კი – 31.54 მლნ ლარის.

ათეულის ბოლო ადგილზეა „სადაზღვევო ჯგუფი“, რომელმაც 2018 წელს 14.62 მლნ ლარის პრემია მიიღო, 2017 წელს კი – 5.35 მლნ ლარის.

დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის სტატისტიკური მონაცემებით, მოზიდული პრემიიდან ყველაზე დიდი წილი სამედიცინო დაზღვევაზე მოდის – 217,01 მლნ ლარი, მეორე ადგილზეა სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა – 85,77 მლნ ლარი, მე-სამეზე – ქონების დაზღვევა – 85,00 მლნ ლარი, მეოთხეზე – სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა – 42,93 მლნ ლარი, მეხუთეზე – სიცოცხლის დაზღვევა – 37,43 მლნ ლარი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რეგისტრირებულია 17 სადაზღვევო კომპანია, 16 მათგანი ფლობს სიცოცხლის და არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიას, ხოლო ერთი მათგანი მხოლოდ არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიას. სოფო ძსოვერილი



# ირანის მოქალაქეებისთვის საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის ფაქტები გასამეაბლა

საქართველოში ირანიდან მარტში 1815 პირი არ შემოუშვეს, რაც წინა თვეების მაჩვენებელზე სამჯერ მეტია. კერძოდ, ქვეყანაში შემოსვლაზე უარი იანვარში ირანის 576 მოქალაქეს ეთქვა, თებერვალში 564 მოქალაქეს. 2018 წელს, 12 თვის განმავლობაში, ქვეყანაში ირანის 3224 მოქალაქე არ შემოუშვეს. მონაცემები შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზეა გამოქვეყნებული.

საქართველოში მიმდინარე წლის მარტში სულ 3098 მოქალაქე არ შემოუშვეს, მათგან 58 პროცენტი სწორედ ირანის მოქალაქეები არიან.

შეგახსენებთ, რომ იანვარ-მარტში ირანიდან ვიზიტორთა რაოდენობა, წინა წლის სამ თვესთან შედარებით, 56.5 პროცენტით შემცირდა. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მარია ქვერციშვილის განცხადებით, ირანის მოქალაქეებისთვის შემოშვება კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც ხდება მათი შემოშვება საქართველოში.

ამასთან, შსს-ს სტატისტიკით, მარტში საქართველოში შემოსვლაზე უარი ეთქვა ინდოეთის 404, აზერბაიჯანის 228, თურქეთის 130, თურქმენეთის 66, სომხეთის 62, რუსეთის 61 და უზბეკეთის 40 მოქალაქეს.

# მარტში შენგენის ზონაში საქართველოს 355 მოქალაქე არ შეუშვეს

შინაგან საქმეთა სამინისტრო საქართველოს მოქალაქეების მიერ შენგენის ზონის ქვეყნებში მოგზაურობის სტატისტიკას აქვეყნებს.

მარტში შენგენის ზონაში საქართველოს 355 მოქალაქე არ შეუშვეს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით მარტში უარი ქვეყანაში შესვლაზე ყველაზე მეტ საქართველოს მოქალაქეს ავსტრიაში უთხრეს. მარტში ავსტრიაში 1650 მოქალაქე გაემგზავრა, საიდანაც 105 მოქალაქე არ შეუშვეს ქვეყანაში.

სხვა ქვეყნების მონაცემი კი შემდეგნაირია:

- გერმანია – 6056 გამგზავრება და 31 უარი;
- იტალია – 2913 გამგზავრება და 30 უარი;
- საბერძნეთი – 3730 გამგზავრება და 13 უარი;
- ესპანეთი – 1497 გამგზავრება და 37 უარი;
- საფრანგეთი – 1595 გამგზავრება და 35 უარი;
- პოლონეთი – 3185 გამგზავრება და 20 უარი;
- უნგრეთი – 1109 გამგზავრება და 10 უარი;
- ჩეხეთი – 1491 გამგზავრება და 3 უარი;
- ლატვია – 708 გამგზავრება და 27 უარი;
- ბელგია – 168 გამგზავრება და 4 უარი;
- კვიპროსი - 1011 გამგზავრება და 39 უარი;
- ბულგარეთი – 102 გამგზავრება და 1 უარი.

შსს-ს ინფორმაციით, საქართველოს ყველა მოქალაქე შეუშვეს შემდეგ ქვეყნებში: ნიდერლანდებში 331, ლიეტუვაში – 501, რუმინეთში – 10.





# ვაჟა ერიაშვილი - ნაგალოვით საჭირო კასი

პროფესორი ვაჟა ერიაშვილი იუბილარია. დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.

ვაჟა ერიაშვილი განვლო სამეცნიერო-შემოქმედებითი და პედაგოგიური მოღვაწეობის საინტერესო გზა. გზა, რომელიც იყო დატვირთული დიდი წარმატებებით, სიხარულით და, იმავდროულად, დიდი წუხილით.

პროფესორი ვაჟა ერიაშვილი დაიბადა ქ. თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. 1958 წელს დაამთავრა თიანეთის საშუალო სკოლა, 1966 წელს კი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტი.

1966 წლიდან პროფესორი ვაჟა ერიაშვილი იწყებს სამეცნიერო საქმიანობას დიდი მეცნიერული ტრადიციების მქონე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის (ამჟამად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის) იოველ ქუთათელაძის ფარმაცოქიმიის ინსტიტუტში ჯერ ინჟინერ-ტექნოლოგად, შემდეგ - უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად (1966-68 წლებში).


1968-72 წლებში პროფესორი ვაჟა ერიაშვილი საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფარმაცოქიმიის ლაბორატორიის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელია; 1973-78 წლებში კი აგრძელებს სამეცნიერო მოღვაწეობას უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე. მისი ხელმძღვანელობით პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის ინსტიტუტში შეიქმნა ბიოფარმაცის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია (1980 წ.), რომელსაც 1989 წელს ეწოდა ბიოფარმაცის სამეცნიერო საწარმოო ცენტრი. ვ. ერიაშვილი 1972 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „პრეპარატ „სუპეტინის“ მიღება და სტანდარტიზაცია“ და მოიპოვა ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 1973-83 წლებში ვ. ერიაშვილი საზოგადოებრივ სანაყისებზე ასრულებს ქ. თბილისის მთავარი პროფიზორის მოვალეობას.

1978 წლიდან დღემდე პროფესორი ვაჟა ერიაშვილი ეწევა ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში:

1978-80 წლებში - ნამალთა ტექნოლოგიის კათედრის ასისტენტად, 1980-92 წლებში - დოცენტად, 1993-97 წლებში - პროფესორად, 1997 წლიდან 2017 წლამდე - სოციალური და კლი-

ნიკური ფარმაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელად. ვ. ერიაშვილი 1992 წელს ქ. მოსკოვში რუსეთის ფედერაციის ფარმაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „დიფილური ფუძეების შექმნა და სუპოზიტორიების მიღების მეთოდების შემუშავება“.

პროფესორი ვაჟა ერიაშვილი



მაღლიერია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, რომელმაც დააფასა მისი ღვაწლი და 2017 წელს დამსახურებულად მიანიჭა ემერიტუს-პროფესორის საპატიო წოდება.

პროფესორი ვაჟა ერიაშვილი არის სამედიცინო სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1998წ), ინტერკონტინენტალური სამედიცინო-სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის (OGASH) საპატიო აკადემიკოსი.

ვაჟა ერიაშვილი ცნობილი მკვლევარია, რასაც ადასტურებს მისი 170-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, 32 მეთოდური რეკომენდაცია, 16 საავტორო მოწმობა, 6 პატენტი გამოგონებაზე, 3 სახელმძღვანელო: „სოციალური ფარმაცია“, 2001, „ფარმაცევტული ბიზნესის საფუძვლები“, „ფარმაცევტული მარკეტინგის საფუძვლები“, 2009, „ბიოფარმაცია“, 2019 წ.

პროფესორი ვაჟა ერიაშვილი არის არაერთი სახელმძღვანელოს, მონოგრაფიის რედაქტორი, სადისერტაციო ნაშრომების შემფასებელი და სამეცნიერო ფორუმების ორგანიზატორი.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ბიოფარმაცევტული, ფარმაცოქინეტიკური და ფარმაცოქინამიკური კვლევების საფუძველზე პროფესორმა ვაჟა ერიაშვილმა შექმნა 40-მდე დასახელების სამკურნალო საშუალება. ოთხი მათგანი (სუპეტინისა

და პლაცენტის ექსტრაქტის საინექციო ხსნარები, კუნელის ნაყენი და კატრანის ცხიმი) რეგისტრირებულია საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ. ტრიქომიკოციდი და ანტიანემიური სუპოზიტორიები ნებადართულია კლინიკური აპრობაციისათვის, ხოლო დანარჩენი სამკურნალო საშუალებები მზადდება „ექსტემპორედ“ და გამოიყენება სამეანო-გინეკოლოგიურ, ონკოლოგიურ, უროლოგიურ, პროქტოლოგიურ, კარდიოლოგიურ და სხვა კლინიკურ პრაქტიკაში.

პროფესორ ვაჟა ერიაშვილის ხელმძღვანელობითა და კონსულტაციით დაცულია 7 საკანდიდატო და 1 სადოქტორო დისერტაცია.

პროფესორი ვაჟა ერიაშვილი ყოველთვის იყო და არის სტუდენტებისთვის საყვარელი ლექტორი. მისი დამოკიდებულება ახალგაზრდების მიმართ განსაკუთრებული სითბოთა გაჯერებული. მან თავისი შეგნებული ცხოვრება ხომ მათ მიუძღვნა.

პროფესორი ვაჟა ერიაშვილს მიაჩნია, რომ მომავალი თაობის აღზრდა, სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა სამოღვაწეოდ ყველაზე დიდი და კარგი ასპარეზია. ამ ასპარეზზე კი დიდხანს რჩებიან ის ადამიანები, რომლებიც თავის საქმეს დიდი რუდუნებითა და სიყვარულით აკეთებენ. სწორედაც რომ ამ თვისებების მატარებელია პროფესორი ვაჟა ერიაშვილი.

პროფესორი ვაჟა ერიაშვილი გამორჩეული პიროვნული თვისებების მქონე მოქალაქეა, რომელსაც უზომოდ უყვარს თავისი სამშობლო. ხშირად ის სამშობლოსადმი სიყვარულს ვაჟა-ფშაველას სიტყვებით გამოხატავს.

პროფესორი ვაჟა ერიაშვილი დიდი მეგობრული თვისებების მატარებელი, ვაჟკაცური სულის მქონე, უღალატო პიროვნებაა. ის არის იქ, სადაც ვინმეს სტიკვა, უჭირს და დახმარება სჭირდება.

პროფესორი ვაჟა ერიაშვილი განსაკუთრებით გულისხმიერი და ყურადღებიანი თავისი კოლეგების, მოსწავლეებისა და ახლობლების მიმართ. მას შეუძლია ყველაზე მეტად გაჭირვების გულთან მიტანა, ჭირის შემსუბუქება და როგორც ქართული სიტყვისა და ლექსის მოსიყვარულე, ღვინის და მშვენიერება.

მიუხედავად ვაჟიშვილის დაღუპვით გამოწვეული თავსდატეხილი უმძიმესი და გაუსაძლისი ტრაგიზმისა, ბატონი ვაჟა, სევდით დაწყულელებული გულით, ოლიმპიური სიმშვიდით დგას ჩვენ შორის და აგრძელებს სამსახურს თავისი საყვარელი მამულისთვის და ერისთვის, მისი ვაჟკაცის სულის სადიდებლად.

ვულოცავთ ბატონ ვაჟა ერიაშვილს საიუბილეო თარიღს და დღემდე მოპოვებულ დიდი წარმატებებს. ვუსურვებთ ასეთივე ძალისხმევით იღვანოს კვლავაც ახალი გამარჯვებებისთვის. კოლეგების, მოსწავლეების პატივისცემა, ოჯახური სითბო და სიყვარული ნუ მოკლებოდეს დიდხანს.

# კვლავას აღვირით მოზიდა დროჟამის სვლა, კვირფასო გოგი!

ის მეცხრამეტე საუკუნის აზნაურს ჰგავს, პენიანს, ზრდილს, აკვალთულს, პირდაპირ დაგეროტიპიდან, პირდაპირ კედლიდან გადმოსულს, ოლონდ XXI საუკუნის მკვიდრს.



85 წლისა მოყრილა უკვე, მაგრამ ჩოხაში შეზრდილს, მხრებიდან ის „ზედმეტი“ წლები ისე ჩამოუფერტხია, როგორც ცხენიდან ესუსა ჩამომხდარ მხედარს მასპინძლის ჭიშკრის შეღების წინ.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის მენინამძღვრე გოგი დოლიძე

კინომცოდნე, ლექტორი, საზოგადო მოღვაწე, მრავალი ეროვნული წამოწყების ავტორი, ქართული სულიერების შესასწავლად და დასაგემოვნებლად ჩამოსული ყოველი მოყვასის მასპინძელია, მათი მომფერებელი და მრავალი სუფრაგასტუმრებული თამადაა, უცხოეთშიც კი სახელგანსმენილი და საგანგებოდ დაფასებული.

ის წლების მანძილზე მოღვაწეობს თბილისის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში. მისი აუდიტორიაში ყოველი შესვლა, წარმოთქმული ყოველი სიტყვა ზეიმიან სტუდენტთათვის. და, საერთოდ, მისი ყოველი დღე სცენაზე ყოფნას ჰგავს, რომელსაც მირიადი თვალი უყურებს და მირიადი ყური აყურადებს. და გოგი დოლიძე - მიმინოსავით შემართული და ხარირემივით ლალი, ამშვენებს თბილისს, თბილისი კი ძალასა და მოქნილობას ჰმადებს მას.

კვლავაც აღვირით მოზიდე დროჟამის მსახვრალი სვლა, ძვირფასო გოგი, კვლავაც გაგვიმშვენიერე დღე-ნი შენი ყოფნით, შენი არსებობით!

## მეგობრები გაზათ „საპარტიველოს რესპუბლიკის“ რედაქციიდან

### „ბერლინი მოგინოდათ მოქმედებისაკენ“

საპარტიველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი მოძრაობას „კულტურული მემკვიდრეობა ევროპის მომავლისათვის“ შეუერთდა და ხელი მოაწერა დოკუმენტს „ბერლინი მოგინოდათ მოქმედებისაკენ“.

საქართველოს პრეზიდენტს დოკუმენტის ხელმოწერის რეკომენდაცია და დოკუმენტი ორგანიზაციის „ევროპა ნოსტრა“ /EUROPA NOSTRA გენერალურმა მდივანმა სნეჟკა მიხაილოვიჩმა წარუდგინა. დოკუმენტი ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის როლის გაზრდის ხელშეწყობას, როგორც ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ასევე, ჩვენს ყოველდღიურებაში, რათა კულტურა გახდეს ყოველდღიურობის ნაწილი და ჩვენი მომავლის განმსაზღვრელი. დოკუმენტის ხელმოწერები იღებენ პასუხისმგებლობას, გამოიყენონ მოცემული შესაძლებლობა და საერთო კულტურული მემკვიდრეობის პოტენციალი, რათა ევროპა გახდეს უფრო მშვიდობიანი, წარმატებული და ინკლუზიური.

„ბერლინი მოგინოდათ მოქმედებისაკენ“ დოკუმენტი ემუქრება ევროპულ ღირებულებებს, საუბარი არ შეიძლება მხოლოდ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და უსაფრთხოების საკითხებზე. თავისი ადგილი უნდა მიეზღვიოს საერთო კულტურულ მემკვიდრეობას ევროპის პოლიტიკისა და პრიორიტეტების შუაგულში“, - აღნიშნულია დოკუმენტში.





საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში, უპირველეს ყოვლისა, „დამოუკიდებელ“ აფხაზეთში, ადამიანის უფლებების ტოტალური დარღვევის შესახებ ბევრი თქმულა და დანერგა.

დავასახელებთ კიდევ ერთ, საკმაოდ სქელტანიან დოკუმენტს, რომელსაც ჰქვია „ადამიანის უფლებები დღევანდელ აფხაზეთში. 2017 წლის 2 ივლისი“. მისი ავტორები არიან ადამიანის უფლებათა საკითხებში ევროკომისიის ყოფილი საგანგებო მრჩეველი თომას ჰამერბერგი და სამხრეთ კავკასიის საკითხთა ექსპერტი, საერთაშორისო კრიზისების ჯგუფის ევროპისა და ცენტრალური აზიის პროგრამების დირექტორი მაგდალენა გრონო. მიუხედავად ავტორების მიერ დაშვებული უხეში შეცდომებისა, რომელთა შესახებ ამჯერად არ ვისაუბრებთ, აღნიშნული დოკუმენტი შეიცავს საკმაოდ ღირებულ ინფორმაციას გალის რაიონის ქართული მოსახლეობის აუტანელი მდგომარეობის შესახებ. შეგახსენებთ ასევე, რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშებში მუდმივად არის საუბარი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ.

როგორც ცნობილია, „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“ 30 მუხლს შეიცავს, „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციაში“ კი დამატებითი ოქმების (ოქმი №№ 1, 4, 6, 7, 12 და 13) იმ მუხლებთან ერთად, რომლებიც კონვენციის ნაწილადაა მიჩნეული, სულ 74 მუხლია. საერთო ჯამში ასზე მეტი მუხლიდან არც ერთ მუხლს, არც ერთი მუხლის არც ერთ პუნქტს აფხაზეთის ქართულ მოსახლეობასთან მიმართებაში ოკუპანტები არ იცავენ.

ერთ-ერთი ყველაზე მწვავე საკითხი მშობლიურ ენაზე განათლების მიღების პრობლემაა. გალის რაიონში 31 სკოლაა. ერთი სკოლა გაუქმდა, კიდევ შვიდი – გაუქმების საფრთხის წინაშეა. 20 სკოლა მთლიანად გადასულია რუსულ სწავლებაზე; ე. წ. ქვედა ზონის კიდევ 11 სკოლა ეტაპობრივად გადაჰყავთ რუსულ სწავლებაზე. სამოთხ ნელინადში ეს პროცესი დასრულდება. საოკუპაციო რეჟიმის უხეში ასიმილაციური პოლიტიკის წინაშე ქვემო რაიონის 30 სკოლის 4300-ზე მეტი მოსწავლე და თითქმის 750 პედაგოგი იმყოფება; ასეთივე წინაშეა მოქცეული 7 საბავშვო ბაღის თითქმის 500 აღსაზრდელი, 3 სამუსიკო სკოლის 179 მოსწავლე, 1 სამხატვრო სკოლის 60 მოსწავლე, ამ საბავშვო ბაღებსა და სასწავლებლებში დასაქმებული 130-ზე მეტი პედაგოგი. ენგურს გაღმა აკრძალულია არა მხოლოდ სწავლება ქართულ ენაზე, არამედ ნებისმიერი ფორმით მისი გამოყენებაც კი – აკრძალულია ქართულად საუბარი, სიმღერა, შეტყობინებათა გაგზავნა და ა. შ.

მსგავსი რამ არსად მსოფლიოში არ ხდებოდა და არ ხდება დღესაც. თვით თავის დროზე აპარტიდული სამხრეთ აფრიკის რეზერვაციებში – ე. წ. ბანტუსტანებშიც კი სწავლება ადგილობრივ შავკანიანთა ენაზე მიმდინარეობდა. აფხაზეთში მოქმედ საოკუპაციო რეჟიმი კი ქართული მოსახლეობის ნების სრული უგულვებელყოფით, მისი უფლებების ფესქვემ გათვლით ცდილობს აფხაზეთიდან ქართული ენის გამოკვეთას. გარდა იმისა, რომ რუსულ ენაზე სწავლების გადაყვანა უარყოფითად მოქმედებს განათლების ხარისხზე, მოსწავლეთა აკადემიურ წარმატებაზე, ოკუპანტები, უპირველეს ყოვლისა, ქართული იდენტობის მოშლას ცდილობენ.

ცდილობენ, მაგრამ ქართველი პედაგოგების წყალობით, რომლებსაც მუდმივი თვალთვალისა და შიშის პირობებში უხდებოდათ მუშაობა, გალის რაიონში სკოლა-დამთავრებული ბავშვები ჯერჯერობით კარგად ფლობენ მშობლიურ ენას და ეროვნულ გამოცდებსაც წარმატებით აბარებენ. თუმცა ამით თავს ვერ დავიმშვიდებთ. ოკუპანტმა იცის ქართველი პედაგოგების „არასაიმედოობა“, რომ ისინი რუსულენოვან გაკვეთილებზე ბავშვებს ძალიან ხშირად ქართულად ასწავლიან. ამიტომ მისი მორიგი ამოცანა ქართველი პედაგოგების რუსულენოვანი პედაგოგებით ჩანაცვლებაა. ეს პროცესი უკვე მიმდინარეობს – სკოლის ქართველი დირექტორების ნაცვლად არაქართველები ინიშნებიან; სკოლის მასწავლებლებად არ იღე-



# ბანტუსტანი გაუქმდა, სამაგიეროდ, პრის... „დამოუკიდებელი“ აფხაზეთი

ბენ საქართველოს უნივერსიტეტებში განათლებამიღებულ სპეციალისტებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ახლო მომავალში ოკუპანტები პედაგოგების პრობლემასაც თავის სასარგებლოდ „მოაგვარებენ“, რაც კიდევ უფრო გაართულებს მდგომარეობას. ვითარების გაართულება მოსალოდნელია ხვალ და ზეგ, მაგრამ ჩვენ უკვე დღეს ვიმყოფებით ძალიან მძიმე გამოწვევის, განსაცდელის წინაშე. ასიმილაცია-რუსიფიკაციის მანქანა მთელი სიმძლავრით არის ამუშავებული, გალის რაიონის სკოლებზე უმკაცრესი კონტროლია დაწესებული, რეგიონთან კომუნიკაციის შესაძლებლობა თვით საერთაშორისო ორგანიზაციებისთვისაც კი უკიდურესად შეზღუდულია.

ქართული სახელმძღვანელოებით სკოლების მომარაგებაც ყოველწლიურად ახალ-ახალ დაბრკოლებებს აწყდება. სამხრეთში, არ ვიცით, რა იქნება ხვალ და ზეგ გალის რაიონის შენარჩუნებას ქართულ საგანმანათლებლო სფეროში, რასაც ქართული სახელმძღვანელოებითა და თანამედროვე მეთოდებით შეიარაღებული ქართველი პედაგოგები დღემდე ახერხებენ.

ოკუპირებულ აფხაზეთში ქართულ მოსახლეობას, განათლების უფლების გარდა, ჩამორთმეული აქვს ყოველგვარი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები. პრობლემის თავი და თავი ქართული მოსახლეობის „უცხო ქვეყნის“ მოქალაქეებად გამოცხადებაშია. ოკუპაციის მთელი პერიოდის განმავლობაში დე ფაქტო კანონმა მოქალაქეობის შესახებ სერიოზული ცვლილებები განიცადა. ჩვენ იძულებული ვართ ვისაუბროთ ამ და სხვა ე. წ. კანონების თაობაზე არა იმიტომ, რომ მათ მართლაც კანონებად მივიჩნევთ, არამედ მხოლოდ იმის გამო, რომ კარგად გავიაროთ აფხაზეთში არსებული ვითარება. 1993 წლის დე ფაქტო კანონის მიხედვით, მოქალაქეობა ეძლეოდა იმ ქართველს, ვისი ერთი წინაპარი იყინო – ე. ი. ბაბუა ან ბებია აფხაზეთში იყო დაბადებული; 2005 წელს პირობები რამდენადმე გამკაცრდა – საჭირო გახდა 1999 წლიდან (ე. წ. დამო-

უკიდებლობის გამოცხადებიდან) აფხაზეთში ცხოვრების ხუთწლიანი უწყვეტი სტაჟი.

ე. წ. მოქალაქეობის საკითხმა განსაკუთრებული სიმწვავე 2013 წლიდან შეიძინა, როცა იგი შიდა პოლიტიკური დაპირისპირების მთავარ თემად იქცა. ერთ მხარეს იყო დე ფაქტო მმართველი ალექსანდრე ანკვაბი, მეორე მხარეს – რაულ ხაჯიმბა და სტანისლავ ლაკობა.

2013 წლის 18 სექტემბერს მიიღეს დადგენილება „აფხაზეთის რესპუბლიკის გალის, ტყვარჩელისა და ოჩამჩირის რაიონებში მოსახლეობის პასპორტიზაციის მოწესრიგების შესახებ“ (იგულისხმება ტყვარჩელსა და ოჩამჩირეს მიკუთვნებული გალის რაიონის ქართული სოფლები).

2013 წლის 18 სექტემბერს ა. ანკვაბმა ხელი მოაწერა ორ ცვლილებას „კანონში“ მოქალაქეობის შესახებ. მეხუთე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის მიხედვით, აფხაზეთის მოქალაქეებად ითვლებოდნენ პირები, რომლებიც 1999 წლის 12 ოქტომბრამდე ხუთი წლის განმავლობაში მუდმივად ცხოვრობდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე და არ იყვნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები. ეს ცვლილება არ შეეხებოდა ეთნიკურ აფხაზებს (აბაზებს). კიდევ ერთი ცვლილება მე-17 მუხლში შევიდა (მეორე პუნქტის სახით), რომლის თანახმადაც კანონის დარღვევით მოქალაქეობის მიღება იწვევდა მოქალაქეობის შეწყვეტას. აღნიშნულ ცვლილებებს უკუქცევის ძალაც მიანიჭეს. მათი მოქმედება ვრცელდებოდა 2005 წლის 8 ნოემბრიდან (მოქალაქეობის „კანონის“ მიღების დღე) წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე. როგორც ვხედავთ, ორივე ცვლილება იყო და არის მიმართული გალის რაიონის მოსახლეობის წინააღმდეგ.

რას ნიშნავს სინამდვილეში 1999 წლამდე აფხაზეთში ცხოვრების ხუთწლიანი ვადა? ოკუპანტების მიზანი ამ შემთხვევაში სრულიად აშკარაა – ხუთწლიანი ვადა დაწესებულია მხოლოდ

იმისთვის, რომ საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმის შემთხვევაშიც კი გალის რაიონის მოსახლეობამ აფხაზეთის მოქალაქეობა ვერ მიიღოს. საქმის გახლავთ, რომ გალელებს საკუთარ სახლებში დაბრუნების უფლება 1996 წელს მისცეს, ამიტომ ძალიან ცოტაა ისეთი ადამიანი, ვინც 1994-1999 წლებში იქ უწყვეტად ცხოვრობდა. გალის დე ფაქტო ადმინისტრაციის უფროსი ლიად აცხადებს, რომ აფხაზეთის მოქალაქეობას მიიღებენ მხოლოდ ის ქართველები, რომლებიც ვითომ დაკარგულ აფხაზურ ეროვნებას დაიბრუნებენ. სხვებს მოჰყავთ უფრო „სერიოზული“ არგუმენტები გალელის უცხო ქვეყნის მოქალაქეებად გამოცხადების სასარგებლოდ. მათი მონაცემებით, რაიონში 50 ათასზე მეტი ქართველი ცხოვრობდა და თუ ისინი აფხაზეთის მოქალაქეები გახდებიან, ადრე თუ გვიან, ეთნოდემოგრაფიული ბალანსი აფხაზეთს საზიანოდ დაირღვევა. გალელისთვის აფხაზური პასპორტების ჩამორთმევის აღვირახსნილი კამპანიის მთავარი იდეოლოგი და ორგანიზატორი სტანისლავ ლაკობა აცხადებს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში „აფხაზეთი მეორე ქართულ სახელმწიფოდ იქცევა“. მისი აზრით, მსგავსი ვითარება პერსპექტივაში აფხაზეთისგან გალის რაიონის გამოყოფამდე ან საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის დაბრუნებამდე მიგვიყვანს. ვფიქრობთ, აქ კომენტარები ზედმეტია.

აფხაზეთზე, როგორც „მეორე ქართულ სახელმწიფოზე“, ეს გამოხატვაში ეკუთვნის ცნობილ ბოლშევიკს მამია ორახელაშვილს. 1926 წლის 11-16 ივნისს სოხუმში ჩატარდა საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გასვლითი მესამე სესია, რომელმაც მიიღო საბჭოთა საქართველოს ახალი კონსტიტუცია, რომლის მეხუთე თავი აფხაზეთის სტატუსს ეძღვნებოდა. სესიაზე





სიტყვით გამოსულმა ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარემ მამია ორახელაშვილმა გააკრიტიკა ჯერ „მტრები“, მერე კიდევ „ნახევარმტრები“ რომლებიც იმ შემთხვევაში შეგუებოდნენ აფხაზეთის სსრ-ის არსებობას, თუ ხელისუფლება მოსახლეობის უმრავლესობის – ქართველების ხელში იქნებოდა. მ. ორახელაშვილმა თქვა: „ჩვენ რომ აფხაზეთში საქართველოს რესპუბლიკის მეორე გამოცემა გვდომოდა, ეს იქნებოდა სასაცილო. ჩვენ საქართველოს რესპუბლიკის დუბლიკატი არ შეგვიქმნია, არც ვფიქრობთ მის შექმნას...“ ქართველთა დისკრიმინაციის გამართლების მიზნით თითქმის ერთი საუკუნის წინათ წარმოქმულ ამ სიტყვებს ს. ლაკობა დღესაც იმავე მიზნებისთვის იმეორებს.

მოქალაქეობისა და პასპორტების თემას მიეძღვნა დე ფაქტო პარლამენტის 2014 წლის 4 აპრილის სხდომა. აღნიშნულ საკითხზე მან მიიღო ახალი დადგენილება „2013 წლის 18 სექტემბრის დადგენილების შესრულების წესის შესახებ“. მასში ნათქვამია, რომ გალის რაიონში პასპორტები გაიცა კანონდარღვევით, ამიტომ მათ „არ შეუძლიათ აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეობის დადასტურება“. ერთი სიტყვით, გალელს აფხაზეთის მოქალაქეობა ჩამოართვეს. იმავე დადგენილებით გადაწყდა „უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონპროექტის მომზადება. დასახული მიზნის განხორციელება უკავშირდება დე ფაქტო ხელისუფლების სათავეში რ. ხაჯიმბას მოსვლას და გალის ადმინისტრაციის უფროსად თემურ ნადარაიას დანიშნვას. გალის დე ფაქტო ადმინისტრაციამ 2015 წელს სპეციალურად შეისწავლა რაიონში მოქალაქეობის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა და დაასკვნა, რომ რაიონის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას, მის ძირითად ნაწილს საქართველოს მოქალაქეობი შეადგენდნენ. ეს დასკვნა გახდა ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი გალის მოსახლეობის უცხო ქვეყნის მოქალაქეობად გამოცხადების მომხრეებისთვის, იმათთვის, ვინც ახალ „კანონპროექტებზე“ მუშაობდა. 2014 წლიდან ქართველებზე გაცემული თითქმის 26 ათასი აფხაზური პასპორტის ანულირება მოახდინეს. იმისათვის, რომ პასპორტების გაუქმებისას „შეცდომები“ გამოერიცხათ, 2014 წლის დეკემბერში დე ფაქტო პარლამენტმა „მთავრობას“ აფხაზური პასპორტების ახალი ნიმუშის შემოღების დავალება მისცა, რაც მან შეასრულა კიდევაც. ახალი ნიმუშის 250 ათასი პასპორტი 2015 წელს რუსეთში დამზადდა. მათი გაცემა 2016 წლის მაისში დაიწყო და დღემდე გრძელდება. მოგესხენება, სამართლებრივი თვალსაზრისით აფხაზური პასპორტი არ არსებობს, მაგრამ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველებს ის სჭირდებათ, რათა თავიდან აიცილონ აფხაზეთის „მოქალაქეობის“ არქონასთან დაკავშირებული უამრავი ყოველდღიური პრობლემა.

ძალიან დიდი პრობლემა შეუქმნა გალის რაიონის მოსახლეობას 2015 წლის 29 დეკემბერს დე ფაქტო სახალხო კრების მიერ მიღებულმა ორმა ე. წ. კანონმა: 1) „აფხაზეთის რესპუბლიკაში უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ და 2) „აფხაზეთის რესპუბლიკიდან გასვლისა და აფხაზეთის რესპუბლიკაში შემოსვლის წესის შესახებ“. 2016 წლის 1 აპრილიდან აღნიშნული „კანონების“ ძალაში შესვლამ რადიკალურად გააუარესა ქართველების ისედაც გაუსაძლისი მდგომარეობა. უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სტატუსის შესახებ დე ფაქტო კანონი არეულირებს სხვადასხვა სახის ნებართვების გაცემას სხვადასხვა ტიპის უცხოელებისთვის. დანესდა ოთხი სახის ნებართვის გაცემა: აფხაზეთში შესვლის ნებართვა, სამუშაოს ნებართვა, დროებითი ბინადრობის ნებართვა და ბინადრობის ნებართვა. ბინადრობის უფლება ეძლევა აფხაზეთის მოქალაქე დაქორწინებულ უცხოელს და საბჭოთა აფხაზეთში დაბადებულ, მაგრამ მოქალაქეობის არმქონე

პირებს, რომელნიც 1999 წლიდან არანაკლებ 10 წელი მუდმივად ცხოვრობენ აფხაზეთში; მე-11 მუხლის მიხედვით, არანაირი ნებართვა არ გაიცემა იმ პირებზე, ვინც იყო და არის აფხაზეთის დამოუკიდებლობის წინააღმდეგი, 1992-1993 წლებში მონაწილეობდა ომში საქართველოს ერთიანობისათვის, 6 თვის განმავლობაში აფხაზეთის ფარგლებს გარეთ იმყოფება და ა. შ. იმთავითვე ცხადი იყო, რომ ამ დისკრიმინაციული „კანონების“ მთავარ სამიზნეს გალის რაიონის მოსახლეობა წარმოადგენდა (სხვათა შორის, ზუსტად ასეთივე „კანონები“ ამოქმედეს ცხინვალის რეგიონშიც). ვინაიდან გალელს საქართველოს მოქალაქეობად რჩებიან, „კანონი“ არ ითვალისწინებდა მათზე ბინადრობის უფლების გაცემასაც კი. საჭირო გახდა საერთაშორისო ზენოლა იმისათვის, რომ გალის რაიონის მოსახლეობას ბინადრობის უფლება მიეღო. 2016 წლის 29 დეკემბერს განხორციელებული ცვლილების შედეგად ეს უფლება მიეცათ „უცხო ქვეყნის“ მოქალაქეებს, რომლებიც გალის რაიონის ტერიტორიაზე 1999 წლის 12 ოქტომბრიდან სულ ცოტა 10 წელი მაინც ცხოვრობდნენ. ბინადრობის უფლება გაიცემა ამ კატეგორიის ადამიანთა ოჯახის წევრებზეც – მშობლებზე, მეუღლეზე და არასრულწლოვან შვილებზე. გალელს ხუთწლიანი ვადით ბინადრობის უფლების გაცემა (ამ ვადის გაგრძელების უფლებით) 2017 წლის აპრილიდან დაიწყო. რუსეთში წინასწარ დამზადდა 50 ათასი ბინადრობის მოწმობა. თავიდან ქართველები უარს აცხადებდნენ მის აღებაზე, მაგრამ ცხოვრებისეული გარემოებები აიძულებდა

ადამიანებს დამობაზე წავიდნენ. სხვათა შორის, აქაც შეზღუდვებია დაწესებული – თუ 6 თვე არ ცხოვრობ აფხაზეთის ტერიტორიაზე, ბინადრობის უფლებას არ მიეცემა, „შეიღობით“ თუ მოგვცეს – ჩამოგარბენ“. გასამაურდა ინფორმაცია, რომ თ. ნადარაიამ „გამოავლინა“ 4000 ადამიანი, ვისაც ბინადრობის უფლება „არ ეკუთვნის“.

დე ფაქტო კანონი „აფხაზეთის რესპუბლიკაში უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ არის იმ არნახული დისკრიმინაციის საფუძველი, რასაც გალის მოსახლეობა განიცდის. ადამიანებს არა აქვთ საზოგადოებრივი-პოლიტიკური ცხოვრებაში, დე ფაქტო არჩევნებში მონაწილეობის, საჯარო სამსახურში, პროკურატურაში, სასამართლო სისტემაში, ადგილობრივ ადმინისტრაციაში მუშაობის, პენსიისა და შემწეობის მიღების უფლება; ნებადართულია მხოლოდ სკოლაში მასწავლებლად მუშაობა, აგრეთვე ფიზიკური სამუშაოს შესრულება. არსებითად, სხვათა შორის, ეს ე. წ. კანონი ძალიან გვაგონებს 1970 წელს მიღებულ „ბანტუსტანების მოქალაქეობის შესახებ“, რომლის ძალითაც ბანტუსტანებს სამხრეთ აფრიკის მოქალაქეობა ჩამოერთვათ, რათა თეთრკანიანები ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა გამხდარიყვნენ. იგივე მიზანი აქვთ დასახული ოკუპანტებს აფხაზეთში, როდესაც მშობლიურ, მამა-პაპათაგან მემკვიდრეობით მიღებულ სახლებში მცხოვრებ ადამიანებს უცხო ქვეყნის მოქალაქეობად აცხადებენ და ყოველგვარ პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებებს ართმევენ. საოკუპაციო რეჟიმი აფხაზეთში უხეშად არღვევს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-15, 21-22-ე, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ გაეროს საერთაშორისო პაქტის მე-6, მე-7, მე-9 მუხლებს.

